საქართველოსა და აზერბაიჯანის სოციალურ- ეკონომიკური ურთიერთობები

Socio-economic relations between Georgia and Azerbaijan

ცოტნე გორდეზიანი - დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Tsotne Gordeziani – Doctoral student,
Georgian Technical University

რეზიუმე: აღნიშნული სტატია ეხება საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების ეკონომიკურ თანამშრომლობას და მისი განვითარების პერსპექტივებს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო ისევე, როგორც აზერბაიჯანი, სუვერენული სახელმწიფოები გახდნენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ორივე ქვეყანა მსოფლიო ეკონომიკის სრულუფლებიანი სუბიექტები გახდნენ და აქტიურად (მეტნაკლებად) ჩაერთვნენ საერთაშორისო ვაჭრობაში. სწორედ ამის შემდეგ იწყება ამ ორი ქვეყნის ურთიერთობები, როგორც სუვერენული სახელმწიფოები.

სტატიაში თავდაპირველად განხილულია საქართველოსა და აზერბაიჯანის ისტორიულ კულტურული ურთიერთობები და საერთო დემოგრაფიული ინტერესები. რაც განაპირობებს ამ ორი ქვეყნის საერთო ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას. ასევე განხილულია საქართველო და აზერბაიჯანი გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში. საუბარია ამ ორი ქვეყნის ეკონომიკური თანამშრომლობის მიზეზებზე, თუ რატომ არის ამ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობა საჭირო, რა აქვთ საერთო და რატომ არიან ერთმანეთისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყნები. როგორია მათი თანამედროვე მდგომარეობა და რა ადგილი უჭირავთ მსოფლიო სამეურნეო სისტემაში. როგორია მათდამი მიმზიდველობა მსოფლიო ბაზარზე სხვადასხვა ქვეყნებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციებისათვის. ასევე როგორია ორი სახელმწიფო მთავრობებს შორის დამოკიდებულებები და რა სამომავლო გეგმები აქვთ.

სტატიაში ასევე განხილულია უფრო ფართო ჭრილში რეგიონალური მნიშვნელობის ეკონომიკური პროექტები (ბაქო -თბილისი -ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზუმის- გაზსადენი და საუკუნის პროექტად შეფასებული ბაქო-თბილისი - ყარსის რკინიგზა). ამ მსოფლიო მნიშვნელობის პროექტებზე ნაშრომში დაწვრილებით არის აღწერილი თანამშრომლობის ყველა ასპექტი და მოიცავს სრულ ინფორმაციას აღნიშნულ პროექტებზე რაც საჯაროდ არის ცნობილი.

სტატიაში ასევე მოცემულია ინფორმაცია საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობის ყველა არსებულ დარგზე, როგორებიცაა (ვაჭრობა, ტურიზმი, მძიმე და მსუბუქი წარმოება) და სხვა.

ასევე სტატიაში გამახვილებულია ყურადღება სამომავლო გეგმებზე და საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური-პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივებზე რათა მოხდეს საერთო ინტერესების დაცვა და რეგიონი უფრო მიმზიდველი გახდეს მსოფლიო ბაზრისთვის და შეიძინოს უფრო მაღალი პოლიტიკური და ეკონომიკური ფასი რაც ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის განვითარებას . ნაშრომში ასევე საუბარია საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრები, შესაბამისად ქართულ და აზერბაიჯანულ დიასპორაზე და მათ წვლილზე ამ ორი ქვეყნის ეკონომიკური თანამშრომლობის გარღმავების საკითხში.

Abstract: The paper is about economic cooperation of Georgia and Azerbaijan and prospects of development. After the collapse of the Soviet Union, bothGeorgia and Azerbaijan became sovereign states, this means that both countries became active subjects in the world economy (more or less) and involved in the international trade. Right after that begins relations between these two countries, as sovereign states.

In the paper at first are reviewedhistorical and cultural relations between Georgia and Azerbaijan, and the overall demographic interests. That leads to the deepening of economic cooperation of two countries.Herewith paper includes information about Georgia and Azerbaijan in the global economic system, about the reason of cooperation between two Countries, the reason of necessity for economic cooperation, what they have in common, and why they are strategically important countries for each other. What is their current state, and what place do they hold in the world economic system. What is their attractiveness on the world market for different countries and transnational corporations. Herewith what kind of attitude do the governments of these two states have and what are their future plans

The paper includes economic projects of regional importance reviewed in a wider context (Baku-Tbilisi-Ceyhan oil pipeline, Baku-Tbilisi-Erzurum gas pipeline and Baku-Tbilisi – Kars railway estimated as The Project of the Century). This paper describes the projects of world importance in details, + and cooperation in all aspects and includes full information about these projects what is publicly known.

The paper also provides information about cooperation in all sectors between Georgia and Azerbaijan, such as (trade, tourism, heavy and light manufacturing) and more.

Herewith the work is focusing on future plans and prospects of deepening economic-political relations between Georgia and Azerbaijan in order to defend common interests, and the region to become more attractive for the world market and to acquire higher political and economic price that will facilitate the development of both countries.

The paper also includes full information about cooperation between Georgia and Azerbaijan full list of agreements and future plans

ძირითადი ტექსტი: საქართველო აზერბაიჯანის ურთიერთობები. ორმხრივი საგარეო კავშირი არსებობს ამ ორ ქვეყანას შორის. თბილისში არის აზერბაიჯანის საელჩო და ასევე საქართველოს საელჩო არის ბაქოში. ორივე სახელმწიფო არის ევროკავშირის, ეუთოს, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი. ორივე ქვეყანას ჰყავს მეორე ქვეყანაში დიასპორა. აზერბაიჯანელები საქართველოში ძირითადად ქვემო ქართლში და კახეთში ცხოვრობენ, უმეტესად სოფლებში (ასევე საკმაოდ არიან თბილისშიც), შეადგენენ საერთო მოსახლეობის 6,5%-ს (ყველაზე დიდი ეთნიკური უმცირესობა საქართველოში), მარნეულის ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში უმრავლესობას წარმოადგენენ. მათი საერთო რაოდენობა 280-290 ათასია. 2002 წლის მონაცემებით. საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებს შორის პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობები, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები იწყება, 1991 წელს როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და ორივე ქვეყანა გადავიდა ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკაზე.

საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის აქტუალობას აგრეთვე განაწელიდან პირობებს, მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაციის პირობებში ეროვნული წარმოების თვითგამორკვევის პროცესში. ასევე რეგიონის მსოფლიო მნიშვნელობის ზრდაში და ორი ქვეყნის მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებაში და უბრალოდ რომ ვთქვად საქართველოსა და აზერბაიჯანის სტრატეგიული თანამშრომლობა და მეგობრობა აუცილებელი პირობაა მათი გადარჩენის საკითხში გამომდინარე ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან. როგორც ზემოთ ავღნიშნე ეს ორი ქვეყანა ერთმანეთთან დაკავშირებულია არა მხოლოდ ეკონომიკურად არამედ წმინდა ადამიანური

ურთიერთობებითაც რასაც ადასტურებს საქართველოში აზერბაიჯანული დიასპორის სიდიდე ისინი ყველაზე დიდი ეტნიკური ჯგუფია საქართველოს ტერითორიაზე, რათქმა უნდა ქართველების შემდეგ. ასევე არიან ქართველებიც აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც მაგრამ არა დიდი რაოდენობით.

1991 წელს საქართველომ და აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და 1992 წლის 18 ნოემბერს დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა. 1997 წლის 10 ოქტომბერს სუამის დამფუძნებელი წევრები გახდნენ. მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა რეგიონის ეკონომიკური განვითარების (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის,ბაქო თბილისი ერზრუმის გაზსადენის და ყარსი-ახალქალაქი-ბაქოს რკინიგზის (TRACECA) მშენებლობა) საკითხებში.

საქართველო და აზერბაიჯანი მოსაზღვრე ქვეყნები არიან, მათი საერთო საზვრის სიგრძე არის 446 კმ, რომელიც ჯერ კიდევ არ არის დელიმიტირებული. განსაკუთრებით მწვავედ დგას დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის პრობლემა, რომელიც დღევანდელი მდგომარეობით საზღვრით ორადაა გაყოფილი. 1990 წლის შემდეგ შემოსულმა ადმინისტრაციულმა და ინსტიტუციონალურმა ცვლილებებმა კი ახალი წესები დაამკვიდრეს. აზერბაიჯანში 2003 წლის შემდეგ ეკონომიკური ბუმია, რაც ნავთობისა და გაზის მოპოვების და ექსპორტის შედეგია, საქართველო კი ასეთი შემოსავლების შესაძლებლობებს მოკლებულია, მის წინაშე კვლავ მწვავედ დგას ისეთი გამოწვევები, როგორიცაა სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი და ერთ სულ მოსახლეზე დაბალი მ.შ.პ-ია. მეორე მხრივ აზერბაიჯანი უფრო ცენტრალიზებულ ქვეყანად დარჩა, რეგიონალურ დონეზე ნაკლები ეკონომიკური თავისუფლებით და რეგიონში დიდი მოცულობით სახელმწიფო ინვესტიციებით, მაშინ როდესაც საქართველო უფლება- მოვალეობებს რეგიონალურ დონეზე წყვეტს. მაგრამ მიუხედავათ თავისუფლების ამ ხარისხისა, რეგიონალურ ხელისუფლებას დაფინანსების სიმცირის გამო ქმედების თავისუფლება ეზღუდება.

განჯა ყაზახის და ქვემო ქართლის ტერიტორიაზე გადის უმნიშვნელოვანესი მილსადენები, რითაც რეგიონი სართაშორისო მნიშვნელობის სატრანსპორტო კვანძი ხდება.

საქართველოსა და აზერბაიჯანს გააჩნია მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობები კერძოდ საქართველო ახორციელებს ცემენტის, ლოკომოტივების, სარკინიგზო მოწყობილობების, ქიმიური ნივთიერებების, მინის, მინერალური წყლების, ალკოჰოლური სასმელების,ფარმაცევტული ნაწარმის, უალკოჰოლო სასმელების, საკვები ნივიერებების ექსპორტს. ასევე ხორციელდება ავტომობილების და სხვა სახის საქონლის რეექსპორტი დიდი რაოდენობით. თავის მხრივ აზერბაიჯანიდან შემოდის ნავთობი, ბენზინი,დიზელი,ბუნებრივი აირი, პლასტმასის ნაწარმი, ავეჯი და სამშენებლო მასალები. ასევე ამ ორ ქვეყანას შორის არსებობს არა მარტო ურთიერთ სავაჭრო კავშირები არამედ ზოგადად რეგიონის და მთლიანად კონტინენტური მნიშვნელობის პროექტები. ასეთებია:ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი,ბაქო-თბილისი ერზრუმის გაზსადენი და ყარსი-ახალქალაქ-ბაქოს რკინიგზა, რომელთა მნიშვნელობაც სცილდება საქართველო- აზერბაიჯანის საზღვრებს და უდიდესი სარგებლის მოტანა შეუძლია ორივე ქვეყნისთვის, ამ სამივე სტრატეგიულ პროექტს შემდეგ ცალცალკე განვიხილავ.

ა) ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) ნავთობსადენი არის მსოფლიოში სიგრძით მეორე მილსადენი, მისი სიგრძე 1760კმ-ია, რომლის დანიშნულებაა გადაუმუშავებელი ნავთობის ტრანსპორტირება, კასპიის ზღვაში აზერბაიჯანის შირაქ-გენეშლის ნავთობის საბადოდან ხმელთაშუა ზღვის სანაპირომდე. ის გადის ბაქოზე,თბილისზე და მთავრდება ჯეიჰანში, თურქეთის ხმელთაშუა ზღვისპირა პორტში. მისი მშენებლობა საქართველოში დასრულდა 2005 წელს. ბაქო- თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი სრულ ექსპლუატაციაში 2006 წელს იქნა გაშვებული. მილსადენში გაშვებული ნავთობის ნაკადი სტაბილურად იზრდებოდა და მიაღწია 800 000 ბარელ ნავთობს რომელსაც მიაწვდის მსოფლიო ბაზარს. აღდგენითი და ლანდშაფტური სამუშაოები მილსადენის მარშრუტის გასწვრივ მაღალი დონის შესაბამისად შესრულდა.

ბ) ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი. ბაქო-თბილისი-ერზრუმის, სამხრეთ კავკასიის ან შაჰდენიზის გაზსადენი, არის სატრანსპორტო მილსადენი, შაჰდენიზის გაზის ბაქანს,

აზერბაიჯანის სექტორიდან საქართველოს გავლით თურქეთში ხდება გაზის გადაქაჩვა. 2006 წლის 21 მაის პირველი საცდელი გაზი ჩაიტვირთა მილსადენში საგაჩალის ტერმინალიდან. ბუნებრივი აირის გაშვება 2006 წლის 30 სექტემბრისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო გაზის გაშვება 2006 წლის 20 დეკემბრამდე გადაიდო.

გაზსადენი იმავე კორიდორში აშენდა სადაც, მანამდე აშენებული იყო, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, რადგან ბუნებაზე უარყოფითი ზემოქმედება შეემცირებინათ.

გაზსადენის პირველადი დანიშნულება, საქართველოსა და თურქეთისთვის გაზის მიწოდებაა, ამმილსადენის მთლიანი სიგრძე 692 კმ-ია ხოლო წლიური გამტარიანობა 16 მილიარდი კუბური მეტრია. როგორც ტრანზიტული სახელმწიფო, საქართველო წლიურად გატარებული გაზის 5% იტოვებს უფასოდ ტარიფის სახით, ასევე შეუძლია შეიძინოს 0,5 მილიარდი კუბური მეტრი გაზი ფასდაკლებით, მაგრამ ესყველაფერი იმასთან რაც დაგეგმილია არაფერია, იგეგმება შაჰდენიზის მილსადენის პროექტის გაფართოება, რაც კიდევ უფრო დიდი ეკონომიკურ და პლიტიკურ სარგებელს მოუტანს რეგიონს და კიდევ უფრო გაზრდის საქართველოსა და აზერბაიჯანის, მნიშვნელობას დასავლეთთის ქვეყნებისათვის.

ყარსი-ახალქალაქი-თბილისის რკინიგზა. ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინნიგზის პროექტი შეიმუშავა საქართველო-თურქეთის შერეულმა სატრანსპორტო კომისიამ ანკარაში 1993 წელს როგორც „ახალი აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთი. თუმცა ევროკავშირს ის არ შეუტანია TRACECA-ს (სატრანსპორტო დერეფანი ევროპა-კავკასია-აზია) ინტერესების სფეროში. ევროპა მოითხოვდა TRACECA-ს ფარგლებში ამოქმედებულიყო ყარსი-გიუმრის სარკინიგზო მონაკვეთი.

2004 წლის 28 დეკემბერს თბილისში თურქეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობის შესახებ შეთანხმებას, ხოლო 2005 წლის 25 მაისს ბაქოში პრეზიდენტებმა მიხეილ სააკაშვილმა და ილხამ ალიევმა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე მიიღეს სამი ქვეყნის ევროპასთან

დამაკავშირებელი სარკინიგზო კორიდორის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილება.

მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი აზერბაიჯანში. მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტს წლების მანძილზე პირველი ადგილი ეკავა, საქართველოდან ექსპორტირებულ საქონელს შორის, ხოლო იმის შემდეგ რაც ყაზახეთი საბაჟო კავშირში გაწევრიანდა და რეგულაციები შემოიღეს მესამე მხარიდან შემოსულ საქონელზე ავტომობილების მთავარი გამსაღებელი აზერბაიჯანი გახდა.

მაგრამ ბოლო დროს საქართველოდან აზერბაიჯანში მსუბუქი მანქანების ექსპორტი შემცირდა, ამის მიზეზი გახდა, აზერბაიჯანის მიერ შემოღებული რეგულაციები, აზერბაიჯანი გადავიდა ევრო 4 სტანდარტზე რაც ითვალისწინებს: ამერიკული მანქანების, რომელებიც გამოშვებულია 2004 წლამდე, ევროპული მანქანების, რომლებიც გამოშვებულია 2005 წლამდე, ხოლოიაპონური და სხვა წარმოების მანქანების, რომლებიც გამოშვებულია 2011 წლამდე,აკრძალვას.

ხორცის ექსპორტი აზერბაიჯანში. საქართველო აზერბაიჯანის სავაჭრო ურთიერთობებში ერთერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჩირავს, საქართველოდან ხორცის ექსპორტს აზერბაიჯანში, მაგრამ აქაც შეიმჩნევა ექსპორტის მნიშვნელოვანი შემცირება.

ავტომობილების ბიზნესის ჩავარდნის კვალდაკვალ, რომელიც აზერბაიჯანში ექსპორტის შეზღუდვამ გამოიწვია და საქართველოს ეკონომიკას 100 მლნ დოლარზე მეტი დააკარგვინა, პრობლემები უკვე მესაქონლეობასაც შეექმნა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2015 წელს მსხვილფეხა ცოცხალი საქონლის ექსპორტი წინა წელთან შედარებით, ორჯერ შემცირდა და 10 მილიონ დოლარამდე დაეცა. აღსანიშნავია, რომ ექსპორტში უდიდესი წილი, 80% მეზობელ აზერბაიჯანს უკავია და კლებაც მთლიანად ამ ქვეყანაზე მოდის (2014 წელის პირველ ნახევარში აზერბაიჯანში, თითქმის 18 მილიონი დოლარის ღირებულების ცოცხალი პირუტყვი გადარეკეს, მაშინ როცა 2015 წლის ანალოგიური მაჩვენებელი 8 მილიონს ძლივ აღწევს).

სხვა სავაჭრო ურთიერთობები. გარდა ზემოთ აღნიშნული საქონლით ვაჭრობისა საქართველოდან აზერბაიჯანში, ექსპორტის

დიდი ნაწილი უჭირავს მედიკამენტების ექსპორტს, აღნიშნული სახის საქონელი საქართველოდან აზერბაიჯანში ექსპორტირებული საქონელს შორის მოცულობით მეორე ადგილი უკავია, პირველზე ისევ მსუბუქი მანქანებია. მედიკამენტების გატანას აზერბაიჯანის ბაზარზე, ახორციელებს საქართველოში ოპერირებული ყველა სააფთიაქო ქსელი რომელსაც გააჩნია საკუთარი საწარმო, სადაც მედიკამენტებს აწარმოებს. ამ მხრივ პირველ ადგილზეა ავერსი, რომელიც საქართველოდან ექსპორტირებული მედიკამენტების, თითქმის ნახევარი მოდის, მერე ადგილზეა PSP, რომელსაც ასევე დიდი ადგილი უჭირავს დახლოებით 40%-მდე, ხოლო დანარჩენი წვრილ მეწარმეებზე მოდის.

საქართველოდან აზერბაიჯანში ასვე ხორციელდება მინერალური და უალკოჰოლო გაზიანი სასმელების ექსპორტი, რომელიც თავის მხრივ, საექსპორტო მოცულობით მეოთხე ადგილზე დგას. მთავარი სავაჭრო საქონლის ხუთეულს კი ასრულებს ელმავლების ექსპორტი, კომპანია ელმავალმშენის დირექტორი მამუკა ხუციშვილი აცხადებს, რომ 4 ელმავალი უკვე შეიძინა აზერბაიჯანმა და გაიგზავნა კიდეც, ახლა კი იგივე მხარისგან 6 ელმავალის შეკეთების შეკვეთას ელოდებიან.

ერთ სულ მოსახლეზე, მ.შ.პ-ს მოცულობა 418,3 მანათია, რაც 4,4%-ით ჩამოუარდება გასული წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელს. გარდა ამისა, ოფიციალური მონაცემებით, მიმდინარე წლის იანვარში, აზერბაიჯანში წარმოების ვარდნა დაფიქსირდა, კერძოდ, სამრეწველო წარმოების მოცულობამ 2,1 მილიარდი მანათი შეადგინა, რაც წინა წლის იანვრის მაჩვენებელზე 3,1%-ით არის შემცირებული. არა სანავთობო წარმოება კი 0,3%-ით გაიზარდა, მომპოვებლურ სფეროში 3,5%-იანი ვარდნა დაფიქსირდა, მათ შორის გაზისა და ნავთობის მიმართულებით.

ამას გარდა, როგორც აზერბაიჯანის სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური იუწყება 2016 წელის იანვარში, აზერბაიჯანის ეკონომიკაში 880 მილიონი აზერბაიჯანული მანათის(551 მლნ ა.შ.შ დოლარი) ინვესტიცია განხორციელდა, რაც 23,2%-ით ნაკლებია წინაწლის იანვართან შედარებით, ამ თანხიდან 28,5% იყო ადგილობრივი, 71,5% კი უცხოური ინვესტიცია, ჯამური

ინვესტიციიდან სახელმწიფო ინვესტიციამ, დაახლოებით 13% შეადგინა.

თუ ამ მონაცემების პარალელურად საქართველოს ვაჭრობის მონაცემებს გადავხედავთ აღმოვაჩენთ, რომ აზერბაიჯანი კვლავ ინარჩუნებს სავაჭრო პარტნიორებს შორის მოწინავე(მეორე) ადგილს, თუმცა დათმო საექსპორტო პარტნიორებს შორის ჩვეული პირველი ადგილი და მეშვიდე ადგილზე გადავიდა. მას არა მხოლოთ ჩინეთმა, რომელთანაც საქართველომ ამ ბოლო დროს სავაჭრო ურთიერთობები გაარღმავა, არამედ ბულგარეთმა და იტალიამაც გადაასწრო. ზოგადად პირველი საექსპორტო ქვეყნები საქართველოსთვის ასე გამოიურება: ჩინეთი, ბულგარეთი, რუსეთი, თურქეთი, იტალია, სომხეთი, აზერბაიჯანი, გერმანია, უკრაინა.

რა უცნაურიც არ უნდა იყოს, მსუბუქი ავტომობილები, რომლის საექსპორტო ბაზარი ძირითადად აზერბაიჯანია, კვლავ საქართველოს საექსპორტო სამეულში რჩება. კერძოდ, 2016 წლის იანვარში, სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში, პირველი ადგილი სპილენძის მადანმა და კონცენტრადებმა დაიკავა 25 მილიონი ა.შ.შ დოლარი და მთელი ექსპორტის 20% შეადგინა, მეორე ადგილზე სწორედ მსუბუქი ავტომობილების ექსპორტია, რომელმაც თავის მხრივ 12მილიონი დოლარი და ექსპორტის 10% შეადგინა, ხოლო მესამე ადგილზე თხილი და სხვა კაკალი იყო, რომლის საექსპორტო ღირებულება 10 მილიონი დოლარი იყო და შესაბამისად ექსპორტის 8% დაიკავა.

ამასთან, როგორც სავაჭრო პარტნიორი აზერბაიჯანი კვლავ სამეულშია. პირველ ადგილზე არის თურქეთი(83 მილიონი დოლარი), მეორე რუსეთი(54 მილიონი დოლარი) და მესამე აზერბაიჯანი(53 მილიონი დოლარი).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს. ვებ-გვერდი - www.energy.gov.ge
2. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს. ვებ-გვერდი - www.mfa.gov.ge
3. აქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს. ვებ-გვერდი - www.economy.ge